მარიამ მალანია

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთი

Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, მომეცა საშუალება მესწავლა ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე, საფრანგეთის ერთ-ერთ წამყვან ბიზნეს სკოლა IESEG-ში. ეს გამოცდილება ჩემთვის იყო თანადროულად გამოწვევა, შთაგონება და მოტივაციის წყარო, რათა საკუთარი შესაძლებლობები გამომეცადა. საზღვარგარეთ დამოუკიდებლად ცხოვრებამ, ახალი კულტურის შეცნობამ, სოციალიზაციამ და ყოველდღიურ სირთულეებთან გამკლავებამ შემძინა ისეთი უნარები როგორიცაა გამძლეობა, მოთმონება და მიზნებზე ორიენტირებულობა. სწორედ მაშინ გავიაზრე, რომ თუნდაც მცირე დაბრკოლებების გადალახვა, სინამდვილეში, პიროვნული განვითარების საწინდარია, რის შემდეგაც საშუალება გვეძლევა სხვა რაკურსით შევხედოთ სამყაროს. ამ გამოცდილებამ უფრო გააძლიერა ჩემი ამბიცია და მიბიძგა გამომეცადა ახალი შესაძლებლობები.

საფრანგეთში გატარებული თითოეული მომენტი იყო დაუვიწყარი, თავის მხრივ სენტიმენტალური და შემეცნებითი. შევიძინე უამრავი მეგობარი სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთაც ძალიან თბილად მიმიღეს და გამიმარტივეს უცხო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი. მათთან ერთად მოგზაურობამ გამიძლიერა სხვადასხვა კულტურების შესწავლის სურვილი,ხოლო დისკუსიებმა ჩემს აქამდე არსებულ წარმოდგენებზე დამაფიქრა. ამ ნაბიჯის გადადგმაში თავდაპირველი წვლილი მიმზიდველმა ფრანგულმა არქიტექტურამ, ხელოვნებამ, და ღირსშესანიშნაობებმა შეიტანა, რომელმაც ეს დრო ჩემი ცხოვრების დაუვიწყარ მოგონებად აქცია. ყოველი ინტერაქცია შთაგონებითა და ინტერესით მავსებდა.

სწავლების ფორმატი ძირითადად დისკუსიას, კოლაბორაციასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ეფუძნებოდა, რაც ზოგჯერ სტრესულიც კი იყო, თუმცა, მრავალფეროვან ადამიანებთან მუდმივმა ურთიერთობამ მნიშვნელოვნად განავითარა ჩემი კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და ლიდერობის უნარები. ასევე დამანახა, თუ რამდენად ფასეულია დაბრკოლებებს შემართებითა და ენთუზიაზმით შევხვდეთ.

საფრანგეთში ცხოვრება ჩემთვის ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩება. ეს გამოცდილება კვლავ მაძლიერებს და რთულ მომენტებში მახსენებს, რომ არასდროს უნდა გავჩერდე.